

„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი

სპირიდონი

„განხილულია“

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

განათლება

აკადემიური ხარისხი: განათლების მაგისტრი
პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი – ნოდარ ზასილაძე

1. **პროგრამის სახელწოდება:** მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა განათლება
2. **განათლების საფეხური:** უმაღლესი განათლების II საფეხური.
3. **სწავლის სფერო:** ISCED-F-ის კოდი 001
დიდაქტიკა - კოდი 0111
4. **კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VII დონე, კოდი 0111**
5. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მაგისტრი**

საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების დიდაქტიკა -
ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხური

- ა) მოდული- ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა
- ბ) მოდული -მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა
- გ) მოდული -უცხოური ენების სწავლების დიდაქტიკა
- დ) მოდული- საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია) სწავლების დიდაქტიკა
- ე) მოდული- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება) სწავლების დიდაქტიკა
- ვ) მოდული- ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სწავლების დიდაქტიკა

1. **პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი, ოთხი სემესტრი

2. **პროგრამის სტრუქტურა:**

- სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი (სამაგისტრო ნაშრომი)
- სასწავლო კომპონენტი: 90 კრედიტი, მოიცავს შემდეგ ბლოკებს:
უცხო ენა - 10 კრედიტი;
პედაგოგიკა ფსიქოლოგია - 30 კრედიტი;
კვლევასთან დაკავშირებული კურსები - 10 კრედიტი;
თავისუფალი კურსები - 10 კრედიტი;
- პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი;
- არჩევითი მოდულები დიდაქტიკაში - 20 კრედიტი.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საათები გაწერილია სილაბუსებში სტუდენტებთან თანამშრომლობით, შემდეგი სახით: ბიბლიოთეკით და ელექტრონული რესურსებით სარგებლობა, საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში ინტერნეტ რესურსების გამოყენება, შუალედური გამოცდების მომზადება, ზეპირი და წერილი საშინაო დავალებების შესრულება, დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება, კვლევის ორგანიზება და ჩატარება, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

ინდივიდუალური მუშაობა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი ამჟამად არ არის, აუცილებელ შემთხვევაში სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნება ყველა ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელსაც პროგრამა ითვალისწინებს, ამასთან გეგმა შემუშავდება სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით, შესაბამისად დაიგეგმება შეხვედრების დრო და ადგილი.

3. **სწავლების ენა:** ქართული ენა

4. **პროგრამის მიზნები:**

ა) მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც დაუფლებული იქნება სწავლება/სწავლის პროცესს და სხვებისათვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას, ამასთან ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეთოდებს, ორიენტირებისა და სწავლების პრინციპებს, სასწავლო საგნების ეფექტურად განხორციელების დიდაქტიკურ მიდგომებს და შეეძლება განახორციელოს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული კვლევები.

ბ) კურსდამთავრებული დაეუფლოს განზოგადებულ უნარებს, რომელიც დაეხმარება კვლევების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართვაში.

გ) კურსდამთავრებულებმა შეძლოს დაძლიოს მასწავლებლის საქმიანობის კარიერული წინსვლის მოთხოვნები დაშვებული წესების შესაბამისად.

დ) კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლა განაგრძოს შემდგომ უმაღლესი განათლების III საფეხურზე.

პროგრამა ორიენტირებულია სასწავლო პროცესის შესწავლისა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიების, მეთოდების და ტექნიკის კვლევებზე.

დასაქმების სფერო: კვლევითი დაწესებულებები, სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები არსებული წესის დაცვით, არასამთავრობო და ის ალტერნატიული ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებული არიან ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის პრობლემებზე, სწავლის გაგრძელება მესამე საფეხურზე.

საკვლევი პრობლემები იხილეთ დანართი №4

5. სწავლების ფორმატი: თეორიული ცოდნა 40%, პრაქტიკული, პროფესიული, ტრანსფერული კვლევითი უნარები 60%, აქტიური ლექცია, გუნდური მუშაობა, კვლევების ორგანიზება და ჩატარება, საველე მუშაობა, პროფესიული პრაქტიკა, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ინტერნეტ კავშირი, კონსულტაცია, პროექტის შედგენა.

6. პროგრამაზე დაშვების წინა პირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ა) დაწყებითი განათლების პედაგოგი. ბ) საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის ან საგანთა ჯგუფის შესაბამისი კვალიფიკაცია, გ) უცხოური ენების სწავლების დიდაქტიკის მიმართულებაზე: უცხოური ენების ფილოლოგიის ბაკალავრი ან სხვა სპეციალობის მქონე ბაკალავრები, რომლებიც უცხოურ ენას ფლობენ საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2. B1 დონეზე.

შიგა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება.

7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლება/სწავლის მეთოდები: დისკუსია, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირება, მოდელირება, მედიატექსტების ანალიზი, თეზისების შედგენა, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთობლივი საქმიანობა, ანოტაციების მომზადება, ინსტრუქტაჟი, წიგნიერების კომპეტენციების დაუფლება, ციფრული კომპეტენციების გამოყენება, პორტფოლიოს შექმნა და სხვა.

კვლევის მეთოდები: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი, დასკვნები, საველე მუშაობა, ერთობლივი იკვლევა - (სტუდენტი მასწავლებელი)

აქტივობები: წერითი და ზეპირი დავალებები, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, რეფერატის მომზადება და წარდგენა, კვლევითი ანგარიშის წარდგენა, კონფერენციებისთვის მოხსენების მომზადება და წარდგენა, ოპონირება, ტანამონაწილეობა ჯგუფურ განხილვებში, საველე მუშაობა, სამაგიდე კვლევა, უახლესი კვლევების მოძიება, დახარისხება, გამოყენება, ნაშრომის დაწერა, წარდგენა, დაცვა.

8. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მიმდინარე შეფასებას – 60 ქულა (მიმდინარე აქტივობა და შუალედური გამოცდა) და ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას – 40 ქულა.

მიმდინარე შეფასებიდან 40 ქულა ეთმობა სტუდენტის მიმდინარე აქტივობას (სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული და ა. შ.). აქტივობის სახე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, რაც განისაზღვრება კონკრეტული სილაბუსის მიხედვით. მიმდინარე შეფასებიდან 20 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას. სულ სემესტრის განმავლობაში ტარდება ორი შუალედური გამოცდა მე-7 კვირებში და მე-14 კვირებში. (თითოეულის მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა). მიმდინარე შეფასება 5-ქულიანია.

დასკვნითი გამოცდის შეფასებას ეთმობა მაქსიმუმ 40 ქულა.

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებებში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:

- ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტიმუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, არაუადრეს 10 დღისა ძირითადი გამოცდის შემდეგ.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და მიმდინარე შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (შემდეგი კრიტერიუმებით: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა, ნაშრომის არქიტექტონიკა, გადმოცემის უნარი, სიახლე, დისკუსიაში ჩართვა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება) ნაშრომის გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები და შეფასების შედეგი განსაზღვრულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები იხილეთ დანართი N 5

შეფასების ფორმები და მეთოდები:

წერითი და ზეპირი ტესტები, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, სასწავლო პროექტის დაცვა, პორტფოლიოს შეფასება, კვლევითი ანგარიშის შეფასება, ლექციაზე აქტიურობის ხარისხის შეფასება, კვლევითი ესე, პედაგოგიური ესე, კვლევის შედეგების ანალიზი, ზეპირი პრეზენტაცია, შეფასების რუბრიკების სქემები, თვითშეფასების შკალა, გამოცდა, ჩატარებული სასწავლო პროცესის შეფასება, შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, პატიოსნება.

შეფასების კონპონენტები და კრიტერიუმები განისაზღვრება სილაბუსში თემისა და შეფასების ფორმის მიხედვით სტუდენტებთან შეთანხმებით.

სწავლის შედეგი

- I შედეგი** - განზოგადებული სწავლის შედეგები;
- II შედეგი** - საგნობრივი დიდაქტიკების კვლევის განხორციელებით სხვებისთვის ახალი ცოდნის გადაცემა;
- II-1** - ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკის დარგობრივი კომპეტენციები;
- II-2** - მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის დარგობრივი კომპეტენციები;
- II-3** - უცხოური ენების სწავლების დიდაქტიკის დარგობრივი კომპეტენციები;
- II-4** - საზოგადოებრივი მეცნიერებების - ისტორიის სწავლების დიდაქტიკის კომპეტენციები;
- II-5** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ბიოლოგია, ბუნებისმეტყველების სწავლების დიდაქტიკის კომპეტენციები;
- II-6** - ესთეტიკური აღზრდის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების დიდაქტიკის კომპეტენციები
- III შედეგი** - კვლევის განხორციელებით სანაგისტრო ნაშრომის დაწერა და დაცვა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

| სწავლის შედეგები | სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ინდიკატორები | სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობები | | |
|------------------|---|---|--|--|
| | | კავშირი სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის | სასწავლო კურსებში შედეგების დემონსტრირება სტუდენტების მიერ | შეფასების ფორმები და მეთოდები (დაზუსტებული ფორმით იხილეთ სილაბუსებში) |
| I | კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს VII დონის კრიტერიუმები: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | იხილეთ დანართი 1 | აქტივობები, კვლევები | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II | დიდაქტიკის კვლევებით გამოყენებული მეთოდები. თუნინგის პროექტი | იხილეთ დანართი 2 | აქტივობები, კვლევები | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II -1 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი | იხილეთ დანართი 2.1 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II-2 | მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ერაზმუს - მენდუსის რეკომენდაციები სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე | იხილეთ დანართი 2.2 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II-3 | უცხო ენის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ენების ერთიანი ევროპული ჩარჩო | იხილეთ დანართი 2.3 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II-4 | საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი თუნინგის პროექტის შედეგები და კომპეტენციები | იხილეთ დანართი 2.4 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II-5 | საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები. | იხილეთ დანართი 2.5 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| II-6 | ესთეტიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი | იხილეთ დანართი 2.6 | აქტივობები, წერითი და ზეპირი დავალებები სილაბუსებში | განმავითარებელი და განმსაზღვრელი |
| III | განზოგადებული სწავლის შედეგები თუნინგის პროექტის შედეგები და კომპეტენციები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანლის ფუნქციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტანდარტული გეგმის გამოწვევები. ერაზრუმ-მენდუსის რეკომენდაციები. | იხილეთ დანართი 3 | სამაგისტრო ნაშრომის დაწერა და დაცვა | უნივერსიტეტში მოქმედი წესები. |

პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

| პროგრამის მიზნები | პროგრამის სწავლის შედეგი I | პროგრამის სწავლის შედეგი II | პროგრამის სწავლის შედეგი II-1 | პროგრამის სწავლის შედეგი II-2 | პროგრამის სწავლის შედეგი II-3 | პროგრამის სწავლის შედეგი II-4 | პროგრამის სწავლის შედეგი II-5 | პროგრამის სწავლის შედეგი II-6 | პროგრამის სწავლის შედეგი III |
|-------------------|----------------------------|-----------------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|-------------------------------|------------------------------|
| ა | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ბ | ✓ | | | | | | | ✓ | ✓ |
| გ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | | |
| დ | ✓ | ✓ | | | | | | | ✓ |

ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ

ადამიანური რესურსები:

1. ნოდარ ბასილაძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი
2. რომან აბაშიძე - განათლების აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი, მენტორი მასწავლებელი
3. ხათუნა ხალვაში - განათლების აკადემიური დოქტორი
4. აკაკი ზოიძე - განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი
5. გურანდა კუკულაძე - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
6. სამონაზვნე ბარბარე (ც.მეგრელაძე) - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მოწვეული პროფესორები და სპეციალისტები

7. ემენ დავითაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი
8. თამილა ჩურკვეიძე - უცხოური ენების დოქტორანტი ასოცირებული პროფესორი
9. ნინო ცინარიძე - მათემატიკის დოქტორი;
10. თემურ ტუნაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
11. ხათუნა ტოტოჩავა - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი, მენტორი მასწავლებელი
12. ნონა შუშანიძე - ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიური დოქტორია პროფესორი, წამყვანი მასწავლებელი.
13. გივი ჭუმბურიძე - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უფროსი მასწავლებელი.

სასკოლო პრაქტიკისა და კვლევების ჩატარებაში დახმარებისთვის სკოლიდან სათანადო სტატუსის მქონე მასწავლებლები შეირჩევა დაგეგმილი წესის შესაბამისად.

მატერიალური რესურსები:

თბილი, ნათელი აუდიტორია, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინტერნეტის წვდომა, განათლების, სასკოლო მუზეუმები, ეპარქიის კერძო და საჯარო სკოლები, რესურსცენტრები, შეხვედრების დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, ბეჭდვა, ქსეროქსი, სკანირება და სხვა, აუდიტორია პრეზენტაციებისთვის, კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მაგისტრანტთა მხარდაჭერა: კონფერენციებში, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება, კვლევისთვის საჭირო ხარჯების შეღავათი, საჭიროების შემთხვევაში სათანადო სპეციალისტის მოწვევა, კონსულტაციები მათთვის მოსახერხებელ დროს, უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის პერიოდის სამჯერადი უფასო კვება. სურვილებისა და მოთხოვნების დროული განხილვა.

სასწავლო გეგმა

| № | სასწავლო კომპონენტები | კრედიტების რაოდენობა | საათების განაწილება | | | | | | კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით | | | | | |
|-------------------------------------|---|----------------------|---------------------|--------|---------------|---------------------|----------------|-------------------|---|-----------------------|------------|-------------|--------------|-------------|
| | | | საათების რაოდენობა | ლექცია | ლაბორატორიული | პრაქტიკული/პრაქტიკა | ჯგუფში მუშაობა | შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი სამუშაო | I სემესტრი | II სემესტრი | III სემესტრი | IV სემესტრი |
| | უცხოური ენების ბლოკი | 10 | | | | | | | | | | | | |
| 1 | უცხოური ენა C1-C2 დონე | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | 5 | | | |
| 2 | უცხოური ენა C2-1 C1-II | 5 | 125 | 12 | | 16 | | 4 | 3 | 90 | 5 | | | |
| | პედაგოგიკა, ფსიქოლოგიის ბლოკი | 30 | | | | | | | | | | | | |
| 3 | ეფექტიანი სწავლების თეორია და პრაქტიკა | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | 5 | | | |
| 4 | სწავლება-სწავლის მეთოდები | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | 5 | | | |
| 5 | ინკლუზიური განათლება | 5 | 125 | 10 | | 12 | 6 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 6 | განათლების სოციოლოგიისა და მედია განათლების პრობლემები | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 7 | განათლების ფსიქოლოგია | 5 | 125 | 12 | | 12 | 6 | 4 | 3 | 90 | 5 | | | |
| 8 | კლასის დამრიგებლის საქმიანობის მეთოდიკა | 5 | 125 | 10 | | 12 | 6 | 4 | 3 | 90 | | 5 | | |
| | პედაგოგიური პრაქტიკის ბლოკი | 10 | | | | | | | | | | | | |
| 9 | პედაგოგიური პრაქტიკა I დაკვირვება მოწინავე გამოცდილების ანალიზი | 5 | 125 | 5 | | 10 | 15 | | 5 | 90 | | | 5 | |
| 10 | პედაგოგიური პრაქტიკა II დამოუკიდებელი | 5 | 125 | 5 | | 10 | 15 | | 5 | 90 | | | 5 | |
| | კვლევასთან დაკავშირებული კურსი | 10 | | | | | | | | | | | | |
| 11 | მეცნიერული კვლევის მეთოდები | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | 5 | | |
| 12 | საინფორმაციო-საკომუნიკაცია ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა | 5 | 125 | 10 | | 12 | 6 | 4 | 3 | 90 | | 5 | | |
| | არჩევითი თავისუფალი კურსები | 10 | | | | | | | | | | | 10 | |
| 13 | ქართული პედაგოგიკის ისტორია | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 14 | პედაგოგიკა | 5 | 125 | 10 | | 12 | 6 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 15 | XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 16 | მსოფლიო კულტურა | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 17 | ხალხური პედაგოგიკა | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 18 | სამოქალაქო განათლება სწავლების მეთოდიკით | 5 | 125 | 12 | | 14 | 2 | 4 | 3 | 90 | | | 5 | |
| 19 | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | | | | | | | | | | | 30 |
| საგნობრივი არჩევითი მოდულები | | | | | | | | | | | | | | |
| | მოდული: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა | 25 | | | | | | | | | | | | |
| 20 | სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 21 | ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |
| | მოდული: მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა | 20 | | | | | | | | | | | | |
| 22 | მათემატიკის სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 23 | მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |
| | მოდული: უცხოური ენის სწავლების დიდაქტიკა | 20 | | | | | | | | | | | | |
| 24 | უცხოური ენის სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 25 | უცხოური ენის სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|----------|---|-----------|-----|----|--|----|---|---|---|-----|-----------|-----------|--|--|
| | მოდული: საზოგადოებრივი მეცნიერებები – ისტორიის სწავლების დიდაქტიკა | 20 | | | | | | | | | | | | |
| 26 | ისტორიის სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 120 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 27 | ისტორიის სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |
| | მოდული: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგია ბუნებისმეტყველება) სწავლების დიდაქტიკა | 20 | | | | | | | | | | | | |
| 28 | ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 29 | ბუნებისმეტყველების და ბიოლოგიის სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |
| 6 | მოდული: ესთეტიკური აღზრდა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების დიდაქტიკა) | 20 | | | | | | | | | | | | |
| 30 | სასკოლო სახელმძღვანელოების მიმოხილვა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | 10 | | | |
| 31 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების დიდაქტიკა | 10 | 250 | 26 | | 32 | 5 | 4 | 3 | 180 | | 10 | | |

წინაპირობის ცხრილი

| სასწავლო კურსები | სემესტრი | წინაპირობა |
|--|----------|--|
| ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა | II | ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| მათემატიკის სწავლების დიდაქტიკა | II | მათემატიკის სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| უცხო ენის სწავლების დიდაქტიკა | II | უცხო ენის სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| ისტორიის სწავლების დიდაქტიკა | II | ისტორიის სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| ბუნებისმეტყველება, ბიოლოგიის სწავლების დიდაქტიკა | II | ბუნებისმეტყველება, ბიოლოგიის სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების დიდაქტიკა | II | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელმძღვანელოს მიმოხილვა |
| პრაქტიკა II | II | პედაგოგიური პრაქტიკა I |

განათლების მაგისტრატურაში

- დიდაქტიკის ზოგადი პრობლემები ეროვნული და უცხოური წყაროების ანალიზის მიხედვით;
- სასწავლო საგანთა სწავლება/სწავლის სპეციფიკური თავისებურებების მიხედვით ეფექტური სტრატეგიების, ინსტრუმენტების, ფორმებისა და საშუალებების კვლევა;
- სასწავლო პროცესის ორგანიზების ახალი ტექნოლოგიები და მათი გამოყენების შედეგების ხარისხი.
- მშვიდობიანი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების გზები და საშუალებები;
- წარმატებული პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გაზიარება;
- მეთოდური მუშაობის ფორმები და სკოლის დონეზე ისტორიული მასალები;
- კვლევები პრობლემებზე:
 - ა) „რა, როგორ და რატომ ვასწავლო?“
 - ბ) რას და რატომ ვაფასებთ?
 - გ) სასწავლო მასალის შინაარსი, საგნის სწავლების მისაღწევი შედეგები და სასწავლო პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები

დანართი 5

1. საკვლევი პრობლემის შერჩევისა და შემუშავებაში დახმარება:
 - დისკუსია საგანმანათლებლო კვლევის სპეციფიკის შესახებ;
 - გამოცდილების გაზიარება-დაცული დისერტაციების გაცნობა;
 - სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი წესის გაცნობა;
 - საბაკალავრო ნაშრომის გამოყენების შესაძლებლობა;
 - წინარე ცოდნის გააქტიურება-სტუდენტის სალექციო კურსებისა და პრაქტიკის გავლისას გაკეთებული ჩანაწერების განხილვა;

- განათლების მეცნიერებაში ბოლო პერიოდის მოთხოვნებისა და კვლევის შედეგების განხილვა;
- საკვლევის პრობლემის შერჩევასა და აქტუალობის დასაბუთებაში დახმარება.

2. ნაშრომის შესრულების პროცესში დახმარება:

- კვლევის მიზნების, ამოცანების განსაზღვრაში დახმარება;
- კვლევის მეთოდების მრავალფეროვნების განსაზღვრა, ამ მიზნით წინარე ცოდნის „კვლევების მეთოდები“ გააქტიურება;
- კვლევის მიზნის შესაბამისი მონაცემის შეგროვების ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების არჩევაში დახმარება;
- წყაროებზე მუშაობა (ბეჭდურ, ელექტრონული)
- ინფორმაციისა და იდეის ნათლად ფორმირების, დაკავშირების, განხილვის, აზრისა და იდეის გაყოფა-დაკავშირების შესაძლებლობა
- დამადასტურებელი და უარყოფელი შეხედულებების განხილვა;
- წყაროების გაფორმების წესის დაცვა;
- ნაშრომის შინაარსობრივი ლოგიკურობის დაცვა;
- სიახლეების ფორმულირება და დასახელება;
- ჩასატარებელი კვლევების პროგრამებისა და გეგმების შედგენა;
- ჩატარებული კვლევების გაფორმება;
- დასკვნის ჩამოყალიბება;
- რეკომენდაციების შემუშავება ახალი მიგნებების დანერგვის ან არსებული ვითარებების გაუმჯობესებისთვის.

3. ნაშრომის არობაცია:

- სტუდენტთა კონფერენციისთვის საკვლევი პრობლემის შესაბამისი თემის არჩევა და მომზადება;
- კვლევის შედეგების გაცნობისთვის სპეციალური სემინარების ჩატარება; ა) მაგისტრანტებისთვის; ბ) მოქმედი მასწავლებლებისთვის.
- სტატიის დაწერა და გამოქვეყნებისთვის რეცენზიისთვის მომზადება.

4. ნაშრომის მონიტორინგი და შეფასება:

- კომპონენტების მიხედვით შესრულებული სამუშაოს შეფასება განმავითარებელი შეფასებით: რჩევები, რეკომენდაციები, ინსტრუქტაჟი;
- შემოწმდება კვლევების გეგმის ან პროგრამის მიმდინარეობა, შედეგების სანდოობა;
- სტუდენტების მიერ ანგარიშის წარდგენა შესრულებული სამუშაოს შესახებ
- დასკვნა ნაშრომის დასაცავად წარდგენისთვის
- ნაშრომის წინასწარ დაცვისთვის წარდგენაში მომზადება;
- ნაშრომის ექსპერიმენტების დასკვნისთვის პასუხების მომზადება;
- ნაშრომის დასრულებისთვის პრეზენტაციის მომზადება.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები

1. სასწავლო კურსებში წყაროებზე მუშაობის, მზარდი კვლევის, სამაგიდო კვლევის, მეთოდების გამოყენების პირველი კურსიდანვე ჩართვა;
2. მეცნიერების კვლევის მეთოდები და მათი გამოყენება
3. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;

4. განათლების მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის შესრულება;
 - 4.1 სპეციფიკური საკვლევითი პრობლემების შერჩევა
 - 4.2 საკვლევითი მიზნის ამოცანების განსაზღვრა
 - 4.3 წყაროებზე მუშაობა
 - 4.4 ნაშრომის შინაარსობრივი ლოგიკურობა
 - 4.5 დასკვნების ჩამოყალიბება, რეკომენდაციების შემუშავება
 - 4.6 სამაგისტრო ნაშრომის მონიტორინგი
 - 4.7 სამაგისტრო ნაშრომის პრობაცია
 - 4.8 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა
5. სტუდენტის ჩართულობით მეცნიერული პროექტის მომზადება
6. სტუდენტის ჩართულობით სამაგისტრო კვლევების განხორციელება ახალ რეგულირებად საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით;
7. კონფერენციების ჩატარების ორგანიზება და მოხსენების მომზადება კონფერენციისთვის;
8. სამეცნიერო სტატიების მომზადება საგანმანათლებლო ჟურნალებისთვის.